საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

1063-02-2-201302251027

N 02/1063
25/02/2013

საქართველოს მთავრობის კანცელარიას

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განიხილა საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 15 თებერვლის #5385 წერილით გადმოგზავნილი, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციები „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის" საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში დასმული საკითხის თაობაზე გაცნობებთ, რომ ბუნებრივი გაზის ტრანზიტთან დაკავშირებული ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 3-ე პუნქტით. ამასთან, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო შესაძლებლად მიიჩნევს საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანზიტად გატარებული ნავთობისა და გაზის შესახებ საჯარო ინფორმაციის ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით გამოქვეყნებას, იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობის მიხედვით, დაცული იქნება ტრანზიტის განმახორციელებელი კომპანიების ინტერესები მათთვის კომერციული ფასეულობის მქონე ინფორმაციის გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას. რაც შეეხება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში არსებულ საჯარო ინფორმაციას (მათ შორის, საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანზიტად გატარებული ნავთობისა და გაზის შესახებ), მათი ღიაობა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოთქვემს მზადყოფნას აღნიშნული პროექტის ფარგლებში თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

მარიამ ვალიშვილი
მინისტრის მოადგილე
საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

№ 6798
26 02 13
1

საქართველო, თბილისი 0105. სანაპიროს ქ. 2: ტელ.:235 78 28: 235 78 01: ელ.ფოსტა: mail@menr.gov.ge
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi,Georgia; Tel.: +995 32 235 78 28; +995 32 235 78 01; E-mail: mail@menr.gov.ge